საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. №65-ში მშენებლობადამთავრებული „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი 2018 წლის 14 ნოემბერი

მოქ. დავით კობახიძესთან (P/N: 01008007446) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესწავლილ იქნა ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. №65-ში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.14.11.020.011) მშენებლობადამთავრებული „მრავალფუნქციური კომპლექსი“-ს შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, მისი შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.

საექსპერტო დასკვნა შესრულებულია შ.პ.ს. “ედრი+”-ის საპროექტო ჯგუფის მიერ. ექსპერტი ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე.

სამშენებლო ნორმებისა და წესების – “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09)-ს სეისმური საშიშროების რუქის დანართის მიხედვით მშენებლობისთვის გამოყოვილი უბანი მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას.

დაპროექტების ნორმების – “სამშენებლო კლიმატოლოგია”-ს მიხედვით კი: (შესაბამისად ცხრილები 17 და 18):

– თოვლის საფარის წონა შეადგენს – 0,50კპა-ს (50 კგძ/მ^2).

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა კი – 0,48 კპა-ს (48 კგძ/მ^2), 15-წელიწადში ერთხელ.

საექსპერტოდ წარმოდგენილი „მრავალფუნქციური კომპლექსი“ აშენებულია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი, შ.პ.ს. „iandmark“-ის საპროექტო ჯგუფში დამუშავებული და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული და მშენებლობის ნებართვაგაცემული (ბრძანება №2289638 11.11.2015) არქიტექტურული პროექტის შესაბამისად.

შენობის კონსტრუქციული საანგარიშო სქემა კარკასულია, შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის კარკასის ელემენტების, სვეტებისა და შენობის კონტურზე მოწყობილი რიგელებისგან. სართულშუა და სასხვენო გადახურვები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის ურიგელო გადახურვის ფილებით, რომლებიც ქმნიან სიხისტის ჰორიზონტალურ დისკოს და კარკასის ელემენტებთან ერთად უზრუნველყოფენ შენობის სივრცით სიხისტეს. ჩვენს მიერ შესწავლილი შენობის კარკასის კონსტრუქციული ელემენტების გაანგარიშება სტატიკურ და დინამიურ დატვირთვებზე შესრულებულია SAP-2000 ვერსია v15.2.1 პროგრამული კომპლექსის გამოყენებით. ანგარიშით მიღებული ძალვების მიხედვით შერჩეულ იქნა ფუძე საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების კვეთები და არმირება. შეთანხმებულმა პროექტმა განიცადა მცირე ცვლილება მშენებლობის მიმდინარეობის

დროს, ადგილზე შექმნილი სიტუაციის გამო (რაც დეტალურად ასახულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბრძანებაში №ბ.19/01181302419.17 09.07.2018), კერძოდ: „ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი და ნაწილობრივ გაბარიტი. შეცვლილია მოაჯირების ნახატი. ნაწილობრივ შეცვლილია მინის მოაჯირის სიგანე. აივნების ნაწილზე მოწყობილია გამყოფი ტიხრები. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების გაბარიტი. გაზრდილია გათბობის და კონდიცირების სისტემების რაოდენობა. „ა-ზ“ და „ზ-ა“ ფასადებზე ფალიაშვილის ქუჩის მხარეს არ არის მოწყობილი მინაბლოკები. ამავე ფასადებზე შეცვლილია ფანჯრების გაბარიტები და რაოდენობა, ასევე სახურავზე „1“ და „6“ ღერძებზე შემცირებულია კედლების სიმაღლე. +4,35 ნიშნულიდან ზემოთ „ჭ“ ღერძთან არ არის მოწყობილი კაპიტალური კედლები.

„1-6“ ფასადი: ფასადზე კედლების ნაწილი მოპირკეთებულია განსხვავებული მასალით. შეცვლილია აივნების გადახურვის გაბარიტი და რაოდენობა. ±0,00 ნიშნულზე „2-5“ მონაკვეთში მოწყობილია სარეკლამო აბრა. „5-6“ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის გაბარიტი. ამავე ფანჯრის ზემოთ და გადახურვის ფილის ძირში მოწყობილია მოპირკეთება. „5“ ღერძთან შეცვლილია კარის გაბარიტი. +30,75 ნიშნულზე არ არის მოწყობილი შავი ალპოლიკი.

„6-1“ ფასადი: ფასადზე რიგელები ზოგიერთი აივნის ძირები მოსაპირკეთებელია. შენობის ძირში შეცვლილია ვიტრაჟების რაოდენობა, ასევე აივნებზე შეცვლილია კედლების და გადახურვების რაოდენობა. მინის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. „6“ და „1“ ღერძებთან შეცვლილია კედლების ფორმა. „4“ ღერძთან დამატებულია ცხაური. „1“ ღერძის გარეთ შენობის სრულ სიმაღლეზე მოწყობილია გამწოვი მილი. +4,35 ნიშნულზე დამატებულია კარბოლუქსით შევსებული ლითონის კონსტრუქციები. +10,95 ნიშნულზე „5“ ღერძის მიმდებარედ გაერთიანებულია კარი და ფანჯარა. +20,85 ნიშნულზე მოწყობილია ლითონის მოაჯირი. ამავე ნიშნულიდან ზემოთ „5-2“ მონაკვეთში კედლის მოპირკეთება არ შეესაბამება საპროექტოს. +37,35 ნიშნულზე შეცვლილია პარაპეტის კონფიგურაცია.

შენობის შიგნით ავტოსადგომების სართულებზე გაზრდილია პანდუსების დახრილობა. ასევე გაზრდილია მონოლითური კედლების რაოდენობა და დამატებულია პილონი. „1“ და „ვ“ ღერძის კვეთასთან კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია მონოლითური კედელი. -6,05 ნიშნულზე „ფ“ ღერძზე შეცვლილია კედლის ფორმა. შეცვლილია ლიფტის დონე, წინ მოწყობილია ბაქანი და საფეხურები. ±0,00 ნიშნულზე „3-4“ მონაკვეთში შეცვლილია კიბის კონფიგურაცია და საფეხურების რაოდენობა. „5“ ღერძზე შეცვლილია კედლის ფორმა. „უ-ჭ“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის მდებარეობა. „ჭ-უ“ მონაკვეთში გაუქმებულია ვიტრაჟი. +4,35 ნიშნულზე „2-1“ მონაკვეთში გაზრდილია აივნის გაბარიტი. +37,35 ნიშნულზე „2-5“ მონაკვეთში შეცვლილია ფილის დონე და შემცირებულია კოლონების გაბარიტი. გაუქმებულია ვიტრაჟები. შეცვლილია კარებების ნახატი და გაბარიტი. პარაპეტთან არ არის

მოწყობილი კოლონები. გაზრდილია სავენტილაციო შახტის რაოდენობა. +39,95 ნიშნულზე მოწყობილია ლიფტის შახტის კაპიტალური კედლები. არ არის მოწყობილი პერბოლები (ალბათ ზედამხედველი გულისხმობს პერგოლებს - ექსპერტი*).

„6-ს" ფასადის მხარეს მოწყობილია ბაქანი, რის გამოც ტროტუარზე შემცირებულია გამწვანების ფართი".

ამჟამად მშენებლობა დამთავრებულია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბრძანებაში დაფიქსირებული შენიშვნები ძირითადად ეხება შენობის არქიტექტურულ ნაწილს, ხოლო რაც შეეხება კონსრუქციულ ელემენტებთან მიმართებაში დაფიქსირებულ შენიშვნებს, ჩვენს მიერ პროექტის მთავარ კონსტრუქტორთან ო. ქვრივიშვილთან (შ.პ.ს. „ჯი აი პი ენ") შემოწმებულ იქნა ზემოაღნიშნული კონსტრუქციული ცვლილებების გათვალისწინებით მზიდ ელემენტებში აღძრული ძალვები და მათი ზემოქმედება არსებულ კონსტრუქციებზე. ანგარიშით მიღებული შედეგების ანალიზის შემდეგ დავრწმუნდით, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული მცირე კონსტრუქციული ცვლილებებისა, უზრუნველყოფილია შენობის მდგრადობა და ეს ცვლილებები არ წარმოადგენს საფრთხეს შენობის შემდგომი ექსპლოატაციისათვის.

შ.პ.ს. „ედრი+"-ის
დირექტორი ი. მანწკავა

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე